



ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო
სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულო



ოქმი:ო63. 6322363001

თარიღი:29/12/2022

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

რიგარეშე სხდომის

ო ქ მ ი N 26

ქ. სამტრედია. 21 დეკემბერი, 2022 წელი.

2022 წლის 21 დეკემბერს, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის, ნუგზარ ჯამბურიას, თავმჯდომარეობით ჩატარდა სამტრედიის მუნიციპალიტეტის V მოწვევის საკრებულოს რიგარეშე სხდომა.

სხდომას ესწრებოდნენ: ნუგზარ ჯამბურია, ვაჟა სტურუა, ვალერიანე ფოცხვერია, მანანა სირბილაძე, მერაბ უღრელიძე, ტარიელ ცომია, ირაკლი მელაშვილი, გიორგი ლეჟავა, ტარიელ დვალიშვილი, ზაზა ადვიშვილი, დავით ჯანელიძე, გონა არველაძე, პაატა კოსრეიძე, ილია მჟავია, ჯონი თევზაძე, ბექა თევზაძე, ჯონი აზობაძე, მაია ტალაბაძე, ბადრი შენგელია, ლელა ჩორგოლაშვილი, გრიგოლ ჩიგოგიძე, გიორგი გაგუა, გივი ჯულაყიძე, კობა ძიძიგური, დავით ნიკოლეიშვილი, აკაკი მინაშვილი, ქეთევან კუტალაძე, მარიამ ბარბაქაძე, ლაშა გრიგოლია.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

1. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება“-ს, ხელმძღვანელი, კობა ბიბილეიშვილი.
2. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“ -ს ხელმძღვანელი, ელგუჯა კალაძე.
3. ა.(ა).ი.პ. `სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის #1 სახელოვნებო სკოლის` ბუღალტერი, ნანული კიკაბიძე.
4. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „#2 სამუსიკო სკოლის` ბუღალტერი, დარეჯან ლომსაძე.
5. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის ხელმძღვანელი, ლეილა ქვირია.
6. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის“ ხელმძღვანელი, ქეთევან მეფარიშვილი.
7. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის` ხელმძღვანელი, ნინო ნანობაშვილი. ბუღალტერი, ავთანდილ შენგელია.

8. ა.(ა).ი.პ. `სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის~ ბუღალტერი, ნესტან შანიძე.
9. ა.(ა).ი.პ. „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების“ ბუღალტერი, ნინო რუხაძე.
10. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“-ს ბუღალტერი, ციცილო ქაჯაია.
11. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება“-ს ბუღალტერი, ლელა ნიკურაძე.
12. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა“-ს ხელმძღვანელი, ნინო ნინუა. ბუღალტერი, ხათუნა ნიკოლეიშვილი.
13. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის“ ხელმძღვანელი, სოფიო კირთაძე.
14. „შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნეს“-ს ბუღალტერი, ლელა ნიკურაძე.
15. ა.(ა).ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი“-ს ბუღალტერი, თემურ გეგუჩაძე.
16. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის ხელმძღვანელი, ლევან ახობაძე.
17. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი“-ს ხელმძღვანელი, ვეფხია ნადირაძე. ბუღალტერი, ენბელა პატარიძე.
18. ა.(ა).ი.პ. „საფრენბურთო კლუბი - „ჯიკო“-ს წარმომადგენელი, კობა ჯანელიძე.
19. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს ხელმძღვანელი, ვეფხია სტურუა.
20. ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი“-ს ხელმძღვანელი, პავლე კაპანაძე. ბუღალტერი, ნანა ხუჭუა.
21. ა.(ა).ი.პ. ხელბურთელთა კლუბი „სამტრედია“-ს ხელმძღვანელი, გიორგი ხელისუფალი.
22. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „კომპლექსური სპორტული სკოლის“ ხელმძღვანელი, ივანე კილტავა.
23. ა.(ა).ი.პ. „რაგბის კლუბი ფენიქსი“-ს ხელმძღვანელი, გურამ ხუჭუა.
24. „შ.პ.ს. სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს ხელმძღვანელი, ალექსანდრე სტურუა. ბუღალტერი, ნონა ქორიძე.
25. ა.(ა).ი.პ. "სახლი თანადგომა" _ს ხელმძღვანელი, ზემინარ ბოხუა.
26. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი“-ს ხელმძღვანელი მამა შიო. ბუღალტერი ნათია ასლანიშვილი.
27. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერი, დავით ბახტაძე.

28. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე, ლადო ზაქრაძე.
29. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის მეორე მოადგილე, გიორგი მეიშვილი.
30. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის აუდიტის სამსახურის უფროსი, პაატა ხარებავა.
31. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი, ბეჟან გეგეშიძე.
32. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის უფროსი, ამირან თედორაძე.
33. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი, დავით ბაღდავაძე. საბიუჯეტო დაგეგმვისა და საფინანსო ზედამხედველობის განყოფილების უფროსი, მედეა ლეჟავა.
34. სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი, აპარატის უფროსი, ნორა იანიკოვი.
35. საკრებულოს აპარატის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, იურიდიულ საკითხებში, ნატო ჯულაყიძე.
36. ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „საინფორმაციო ცენტრი“-ს წარმომადგენელი, გიორგი მელქაძე.

საკრებულოს თავმჯდომარემ მიმართა საკრებულოს წევრებს, დღე მშვიდობისა პატივცემულო სტუმრებო. ჩვენი შეხვედრა მიმართულია ჩვენი ქვეყნის, ჩვენი მუნიციპალიტეტის საკეთილდღეოდ. მაღლობას გიხდით მობრძანებისათვის. თითქმის მთელ საქართველოში და ჩვენს მუნიციპალიტეტშიც წინა საახალწლო სამზადისი სუფევს. დარწმუნებული ვარ ეს ყველაფერი წლის ბოლომდე გაგრძელდება. გულწრფელად მინდა მოგილოცოთ დამდეგი ახალი წელი. დარწმუნებული ვარ 2023 წელი პლანეტისათვის, ჩვენი ქვეყნისათვის, ყველა ჩვენთაგანისათვის კეთილდღეობის, სიმშვიდის და სიკეთის წელი გახდება. დღევანდელი ჩვენი შეხვედრაც, მიმართული იქნება იმ ძალიან მნიშვნელოვანი დოკუმენტის დასამტკიცებლად, რასაც 3 ქვეყა 2023 წლის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი. მინდა გითხრათ ისიც, რომ ბიუჯეტმა კანონმდებლობის შესაბამისად, ყველა ძირითადი პუნქტი გაიარა და დღეს უკვე, სრულყოფილი სახით, შენიშვნების გათვალისწინებით, წარმოდგენილია თქვენს წინაშე. წლის განმავლობაში ბიუჯეტი განიცადის ცვლილებას, ამ ბიუჯეტისათვისაც მოსალოდნელია მატება. სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ წინა წლებთან შედარებით მზარდია ჩვენი მიღწევები ყველა მიმართულებით. დაახლოებით 23 მილიონს აღწევს ეს ბიუჯეტი. სადაც მტრობაა იქ საქმე არ გაკეთებულა, დარწმუნებული ვარ, რომ ყველაფრის გადალახვით შევძლებთ, ღირსეული წვლილი შევიტანთ ჩვენი მუნიციპალიტეტის განვითარების საქმეში.

პატივცემულო კოლეგებო, დღეს ჩვენს სხდომას ესწრებიან მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი დავით ბანტაძე, მუნიციპალიტეტის სამსახურის ხელმძღვანელები. მუნიციპალიტეტის ა.(ა).ი.პ.-ებისა და შ.პ.ს.-ების ხელმძღვანელი პირები და წარმომადგენლები, საინფორმაციო ცენტრის, გაზეთ სამტრედიის მაცნესა და კომპანია „ზარი“-ს წარმომადგენლები. თქვენი ჩართულობა და მხარდაჭერა ჩვენი სამომავლო გეგმების შესრულებისათვის აუცილებელი და გადამწყვეტია.

დღეს წარმოდგენილია 2023 წლის ბიუჯეტი დასამტკიცებლად. იმედს ვიტოვებ კანონის შესაბამისად, რეგლამენტის დაცვით, დარბაზი გადაწყვეტს და მიიღებს სამტრედიის მუნიციპალიტეტის ახალ ბიუჯეტს.

სხდომის თავმჯდომარემ საკრებულოს წევრებს გააცნო სხდომის დღის წესრიგი.

დღის წესრიგი

1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის

მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება“-ს 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ .

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

2. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“-ს 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

3. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის #1 სახელოვნებო სკოლის~ 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

4. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის #2 სამუსიკო სკოლის“ 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

5. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის “ 2023 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

6. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის“ 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

7. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის“ 2023 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

8. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის“ 2023 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

9. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბაღები და ბაგა-ბაღები) გაერთიანების“ 2023 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

10. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის~ 2023 წლის შემოსავლისა და ხარჯების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

11. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება“-ს 2023 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

12. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა“-ს 2023 წლის შემოსავლისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

13. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის“ , 2023 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

14. შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“-ს, 2023 წლის საგამომცემლო-საწარმოო პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

15. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი“-ს 2023 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

16. სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურის, 2023 წლის მიზნობრივი სოციალური პროგრამის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

17. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის ეროსი მანჯგალაძის სახელობის კულტურის ცენტრი“-ს 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

18. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საფრენბურთო კლუბი - „ჯიკო“-ს 2023 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

19. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჭიდაო კლუბი ფალავანი“-ს 2023 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

20. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საცხენოსნო სპორტული კლუბი“-ს 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

21. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „ხელბურთელთა კლუბი „სამტრედია“-ს 2023 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

22. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომპლექსური სპორტული სკოლის~ 2023 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

23. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „რაგბის კლუბი ფენიქსი“-ს 2023 წლის პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

24. შ.პ.ს. „სპორტული კომპლექსი-სამტრედია“-ს, მომსახურების ტარიფების დამტკიცების, 2023 წლის ბიუჯეტიდან დასაფინანსებელი სუბსიდიის, სამუშაო დღეებისა და დროის განსაზღვრის შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

25. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, "სახლი თანადგომა" ს 2023 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/

26. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის „სათნოების სახლი" ს 2023 წლის ხარჯის დამტკიცების

შესახებ.

**/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/**

27. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, "სახლი თანადგომა"-ს 2023 წლის კვების პროდუქტების კვირეული ნორმების დამტკიცების შესახებ.

**/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/**

28. სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ.

**/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის
თავმჯდომარე, მ.უღრელიძე/**

29. „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საფრენბურთო კლუბი - „ჯიკო“-ს 2022 წლის სუბსიდიის დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის №63.632135420 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხსენებელი: საფინანსო - საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,
მ.უღრელიძე/**

30. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერიის სამტატო ნუსხის დამტკიცებისა და პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საჯარო მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოების განაკვეთების განსაზღვრის შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 იანვრის №4 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის,
საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,
მ.სირბილაძე/**

31. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს პოლიტიკური თანამდებობის პირთა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა რანგირების, სამტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოების დამტკიცების შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 20 დეკემბრის N22 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის, საპროცედურო და
სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე, მ.სირბილაძე/**

32. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების (გარდა საკრებულოს თანამდებობის პირებისა) მოვალეობის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯების ანაზღაურების წესის შესახებ“, სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 21 იანვრის N30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

**/მომხსენებელი: იურიდიულ, ადამიანის უფლებათა დაცვის,
საპროცედურო და სამანდატო საკითხთა კომისიის თავმჯდომარე,
მ.სირბილაძე/**

33. სხვადასხვა.

კენჭი ეყარა დღის წესრიგს წარმოდგენილი სახით.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად, (29 ხმით) დამტკიცდა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

განცხადების გაკეთება ითხოვა საკრებულოს წევრმა, აკაკი მინაშვილმა.

აკაკი მინაშვილი - პირველ რიგში ყველას მოგესალმებით, ბედნიერ შობა-ახალ წელს გილოცავთ, ქალაქის მერით დაწყებული, საკრებულოს წევრებით და ყველა სამსახურის უფროსით დამთავრებული ყველას ნაყოფიერ საქმიანობას გისურვებთ მომდევნო 2023 წელს. ჰააგას სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ საქართველო გაამართლეს რუსეთთან დაკავშირებით და ეს არის მოსალოცი საქმე. დღეს არის ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის დაბადების დღე და პირადად მე ვულოცავ მას ამ დღეს. მიუხედავად იმისა, რომ პოლიტიკურად სხვადასხვა მხარეს ვდგავართ მე ყოველთვის მომხრე და მხარდამჭერი ვარ ყველა სასიკეთო საქმეების. დღეს კი 2023 წლის ბიუჯეტის განხილვაში მონაწილეობას ვერ მივიღებ (მე ამის სრული უფლება მაქვს) და პროტესტის ნიშნად დავტოვებ საკრებულოს სხდომას. კარგად ბრძანდებოდეთ, წარმატებებს გისურვებთ.

მერაბ უღელიძემ საკრებულოს წევრებს გააცნო სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის 2022 წლის 9 დეკემბრის N 62-622234362 წერილობითი მომართვა რომელიც ეხება, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში განსახორციელებელ ცვლილებებს. პირველ წარდგენასთან შედარებით ბიუჯეტი გაზრდილია 709.5 ათასი ლარით და შესაბამისად ბიუჯეტის პროექტი თანდართულ მასალებთან ერთად წარმოდგენილია 22,890.5 ათასი ლარის ოდენობით. აღნიშნული ზრდა გამოწვეულია რიგი ფაქტორებით, კერძოდ, საქართველოს პარლამენტისათვის წარდგენილი „საქართველოს 2023 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“, საქართველოს კანონის პროექტის საბოლოო ვარიანტის საფუძველზე გადამუშავებული ფისკალური პროგნოზების შესაბამისად, სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში გაიზარდა მიზნობრივი ტრანსფერი 145.0 ათ. ლარით და შეადგენს 375.0 ათ. ლარს. შესაბამისად, დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად, სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი მიმართული იქნა:

- ა) "საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ", საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 129.0 ათასი ლარი;
- ბ) "სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ" და "სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ", საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 245.7 ათასი ლარი;
- გ) "სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ", საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 0,3 ათასი ლარი.

ხოლო სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტში დამატებული ღირებულების გადასახადის საპროგნოზო მაჩვენებელი გაიზარდა 564.5 ათ. ლარით და შეადგენს 17 254.8 ათ. ლარს. აღნიშნულიდან მიემართა 480.0 ათ. ლარი, (სპეცტექნიკის შესაძენად) და შესაბამისად გაიზარდა კოდი 03 03 დასუფთავების არაფინანსური აქტივების გეგმა.

ასევე, 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში ასახული და გათვალისწინებულია სამტრედიის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის, განათლების, კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომისიის, შრომის, ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიების გაერთიანებული სხდომისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციების მიერ წარმოდგენილი 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში გასათვალისწინებელი წინადადებები და ასევე, სამტრედიის მერიაში შემოსული მომართვების შესაბამისად, გათვალისწინებულია რიგი წინადადებები.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 91 მუხლის მე-5 ნაწილისა და საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 78-ე მუხლის მე-4 ნაწილის შესაბამისად, წარმოგიდგინებ სამტრედიის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის პროექტს თანდართულ მასალებთან ერთად განსახილველად და დასამტკიცებლად.

დღის წესრიგის I საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება“-ს, 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ .

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა.(ა).ი.პ სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანების 2023 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 1985,0 ათ. ლარს. სუბსიდია გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 626,0 ათ. ლარით.

საშტატო ერთეული 103.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის კომუნალური გაერთიანება“-ს, 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ .

დღის წესრიგის II საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“-ს, 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა.(ა).ი.პ. გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანებას - სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს - 635,20 ათ. ლარს.

სუბსიდია გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 231,0 ათ. ლარით.

საშტატო ერთეული -16.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გამწვანებისა და კეთილმოწყობის გაერთიანება“-ს, 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგის III საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, `სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის #1 სახელოვნებო სკოლის~, 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა.(ა).ი.პ. `სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის #1 სახელოვნებო სკოლის~, 2023 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს - 197.8-ლარს.

სუბსიდია გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 15,5 ათ. ლარით.

მშობელთა შემონატანი - 15,8 ათ. ლ.

სულ - 213.6 ათ. ლ.

საშტატო ერთეული - 39.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დომენტი შანიძის სახელობის #1 სახელოვნებო სკოლის“, 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგის IV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის, N2 სამუსიკო სკოლის“, 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა.ა.ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის #2 სამუსიკო სკოლის“ 2023 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს - 88.30 ათ.ლარს.

სუბსიდია გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 17,6 ათ. ლარით.

მშობელთა შემონატანი - 10.40 ათ.ლ.

სულ - 98.70 ათ. ლ.

საშტატო ერთეული - 20.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, სამტრედიის მუნიციპალიტეტის N2 სამუსიკო სკოლის, 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგის V საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის, სოფელ დიდი ჯიხაიშის, სახელოვნებო სკოლის“, 2023 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა.ა.ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის“ 2023 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს 88.0 ათ.ლარს.

სუბსიდია გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 18,0 ათ. ლარით.

მშობელთა შემონატანი - 7.3 ათ. ლ.

სულ - 95.3 ათ. ლ.

საშტატო ერთეული - 17.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ დიდი ჯიხაიშის სახელოვნებო სკოლის“, 2023 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგის VI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის“, 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის“ 2023 წლის **სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს - 118.00 ათ. ლარს.**

სუბსიდია გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 16,0 ათ. ლარით.

მშობელთა შემონატანი - 4,80 ათ. ლ.

სულ 122,8 ათ. ლ.

საშტატო ერთეული - 17.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის გომის თემის სამუსიკო სკოლის“, 2023 წლის ხარჯის დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგის VII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის“, 2023 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის“, 2023 წლის **სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს - 76,5 ათ. ლარს.**

სუბსიდია გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 14.5 ათ. ლარით.

საკუთარი შემოსავალი (მშობელთა შემონატანი) - 4.10 ათ. ლ.

სულ - 80.60 ათ. ლ.

საშტატო ერთეული - 13.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის დაბა კულაშის სამუსიკო სკოლის“, 2023 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგის VIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის, **სოფელ ტოლების** სამუსიკო სკოლის“, 2023 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის“, 2023 წლის **სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს - 61.80 ათ. ლარს.** სუბსიდია გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 12,3 ათ. ლარით.

მშობელთა შემონატანი - 2.90 ათ. ლ.

სულ - 64,70 ათ. ლ.

საშტატო ერთეული -10.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სოფელ ტოლების სამუსიკო სკოლის“, 2023 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგის IX საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბალები და ბაგა-ბალები) გაერთიანების“, 2023 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა.(ა).ი.პ. „**სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბალები და ბაგა-ბალები) გაერთიანების**“ 2023 წლის **სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს - 3500,0 ათ. ლარს.** სუბსიდია გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 806,6 ათ. ლარით. **საშტატო ერთეული - 325.**

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვა: ნუგზარ ჯამბურია.

ნუგზარ ჯამბურია - ბალები ყოველთვის არის ის ღირსეული ადგილი, რომელიც ყველა ჩვენთაგანს გაუვლია. ის შემართებითი კოლექტივი, რომელიც დღეს აქ არის წარმოდგენილი გაავრძელებს იმ საქმიანობას, რომელიც მათთვის არის აუცილებელი საკეთებელი, ღირსეული მომავალი თაობის აღსაზრდელად.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებათა (ბალები და ბაგა-ბალები) გაერთიანების“, 2023 წლის პროგრამისა და

ხარჯის დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგის X საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის“, 2023 წლის შემოსავლისა და ხარჯების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა.(ა).ი.პ. სამტრედიის მუნიციპალიტეტის „მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლი“-ს, 2023 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს - 281.00 ათ. ლარს.

სუბსიდია გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 64,8 ათ. ლარით.

საკუთარი შემოსავლები - 9.50 ათ. ლ.

სხვადასხვა წრებიდან შემონატანი - 9.50 ათ. ლ.

სულ - 290.50 ათ. ლ.

საშტატო ერთეული - 56.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის“, 2023 წლის შემოსავლისა და ხარჯების დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგის XI საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება“-ს, 2023 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა.(ა).ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება“-ს 2023 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს - 114.5 ათ. ლარს.

სუბსიდია გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 17,2 ათ. ლარით.

საშტატო ერთეული - 23.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანება“-ს, 2023 წლის ხარჯების დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგის XII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა“-ს, 2023 წლის შემოსავლისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა.(ა.)ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა“-ს 2023 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს - 83,4 ათ. ლარს.

სუბსიდია გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 12,0 ათ. ლარით.

საშტატო ერთეული -13.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვა: ნინო ნინუამ.

ნინო ნინუა - დამდები შობა-ახალი წელი მინდა მოგილოცოთ ყველას და წარმატებული მომავალი მინდა გისურვოთ. მადლობა მინდა ვთქვა იმის გამო, რომ იმ დაფინანსებისა და დახმარების გარეშე, რომელიც დღეს ჩვენ გვაქვს მუნიციპალიტეტიდან, ალბათ ვერ შევძლებდით განგვეხორციელებინა ის ღონისძიებები, რაც წლის მანძილზე გვაქვს დაგეგმილი. საშუალება გვძლევდა, რომ ბავშვებს მივალეინოთ მონაწილეობა სხვადასხვა ფესტივალებსა და კონკურსებში, საიდანაც საკმაოდ წარმატებულები ჩამოვდივართ. არც პროფესიონალი მხატვრები გვრჩება ყურადღების მიღმა. ეწყობა პერიოდული პერსონალური და საერთო გამოფენები, სადაც ეძლევათ საკმაოდ სოლიდური დაფინანსება. ვფიქრობ, რომ მომავალში კიდევ უფრო მეტი ყურადღება იქნება კულტურასა და ხელოვნებაზე გათვალისწინებული. ჩვენ მადლიერი და კმაყოფილი ვართ თქვენი თანადგომით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის სამხატვრო სკოლა-გალერეა“-ს, 2023 წლის შემოსავლისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგის XIII საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ ულრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის“, 2023 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა.(ა.)ი.პ. „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის“, 2023 წლის სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს - 56,0 ათ. ლარს.

სუბსიდია გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 11,2 ათ. ლარით.

საკუთარი შემოსავლები - 1,0 ათ. ლ.

სულ - 57,0 ათ. ლ.

საშტატო ერთეული -7.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „სამტრედიის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო ცენტრის“, 2023 წლის პროგრამისა და ხარჯის დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგის XIV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ

უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“-ს, 2023 წლის საგამომცემლო-საწარმოო პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“-ს, 2023 წლის **სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტიდან შეადგენს - 97,7 ათ. ლარს.**

საკუთარი შემოსავალი - 8,0 ათ. ლ.

შემოსავალი გაზეთის გამოწერიდან - 7.1 ათ. ლარი.

გაზეთის რეალიზაციიდან - 0.3 ათ. ლარი.

სარეკლამო განცხადებიდან - 0.3 ათ. ლარი.

განცხადება ნეკროლოგიდან - 0.3 ათ. ლარი.

სულ: 105,7 ათ. ლარი.

სუბსიდია გასულ წელთან შედარებით გაზრდილია 17,0 ათ. ლარით.

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

აზრი გამოთქვა: ნუგზარ ჯამბურიაძე.

ნუგზარ ჯამბურია - მინდა ავლნიშნო, რომ არიან მუნიციპალიტეტები, სადაც არც საინფორმაციო ცენტრია და არც ბეჭდვითი სიტყვის ორგანო. 92 წლის ბეჭდვითი ორგანო ჩვენთვის ნამდვილად არის საამაყო. გავლენ ათეული წლები, ჩვენი თაობა იმ ინფორმაციას, ყველა სიახლეს, რომელსაც ჩვენი სამტრედიის მაცნე აწვდის არის ჩვენი ისტორიის ძალიან კარგი და მნიშვნელოვანი ფურცელი. თქვენი სახელით, მადლობას ვუხდით მთელ მის შემოქმედებით კოლექტივს ამ წლების განმავლობაში გაწეული თავდაუზოგავი შრომისათვის. ჩვენი მუნიციპალიტეტის ისტორიის ერთი-ერთი მნიშვნელოვანი ფურცელი არის სამტრედიის მაცნეს ისტორია. თაობები გაივლიან, მაგრამ ეს ტრადიცია, დაწყებული ჩვენს მუნიციპალიტეტში, ყოველთვის გაგრძელდება, წიგნიერების უდიდესი საფასურის სახით.

პროექტის ირგვლივ შენიშვნები არ ყოფილა.

კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 28 წევრმა.

დაადგინეს: კენჭისყრის შედეგად (28 ხმით) დამტკიცდა განკარგულება, შ.პ.ს. „სამტრედიის მაცნე“-ს, 2023 წლის საგამომცემლო-საწარმოო პროგრამისა და მისი განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ.

დღის წესრიგის XV საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა, მერაბ უღრელიძემ, საკრებულოს წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი, არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი“-ს, 2023 წლის პროგრამისა და პროგრამის განხორციელების ხარჯის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ ა.(ა).ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამტრედიის ცენტრი“-ს 2023 წლის **სუბსიდია (დელეგირებული ტრანსფერი) შეადგენს 129.00 ათ. ლარი.**

სუბსიდია ადგილობრივი ბიუჯეტით - 42.70 ათ ლარი.

სულ სუბსიდია - 171.70 ათ. ლარი.

საკუთარი შემოსავლები.

**17.40
ათ.ლარი**

ა) დ.კ.ე.ც.(გადამდებ დავადებათა

ეპიდზედამხედველობის) პროგრამა	8.4 ათ.ლარი
დ) ეპიდემიოლოგი ჯანმრთელობის სისტემის განმტკიცება (ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამა)	7.80 ათ.ლარი
მაღარიის სახელმწიფო პროგრამა	1.2 ათ.ლარი
სულ ჯამი:	189.1 ათ.ლარი

საკითხი განიხილა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიამ და ბიურომ. მომზადდა შესაბამისი განკარგულების პროექტი.

